ლევან ბერია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დოქტორანტი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და რუსეთის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში

იმპერიები იქმნებოდნენ და იშლებოდნენ, თუმცა სახეცვლილები, ისინი კვლავ აღმოცენდებოდნენ ხოლმე და აგრძელებდნენ იგივე პოლიტიკას, იმპერიულ პოლიტიკას, რაც მიმართულია სხვა სახელმწიფოების დაპყრობისა, თუ მათი მიწების ნაწილის მიტაცებაზე, ამ გზით ტერიტორიის გაზრდის, ქვეყნების საკუთარი ზეგავლენის ქვეშ მოქცევისაკენ, რათა შემდგომში ამ სახელმწიფოების მიერ გატარებულ იქნას მათი ინტერესები.

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი რუსეთის ფედერაცია სახეცვლილი რუსეთის იმპერიაა, რომელსაც მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთის პირველმა იმპერატორმა, პეტრე I-მა, ჩაუყარა საფუძველი და 1917 წლამდე იარსება. 1917-1922 წწ. ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. 1922 წლის 29 დეკემბერს, მოსკოვში, გაფორმდა ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის (სსრკ) ფორმირების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რეს-

პუბლიკის წარმომადგენლებმა [1]. ეს დოკუმენტი დამტკიცდა 1922 წლის 30 დეკემბერს საბჭოების სრულიად საკავშირო I ყრილობაზე. 1917-1922 წელს ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების დიდი ნაწილი 1922-1924 წწ. შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და საბჭოთა კავშირმა მოიცვა ყოფილი რუსეთის იმპერიის უმეტესი ტერიტორია. 1991 წლის 8 დეკემბერს ბელორუსიაში, სამთავრობო სანადირო აგარაკზე „ვისკული", ბელოვეჟის ტყეში, საბჭოთა კავშირის დამფუძნებელი სამი რესპუბლიკის – რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიისა და უკრაინის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს „შეთანხმებას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნის შესახებ", რომლის პრეამბულაში ვკითხულობთ: „ჩვენ, რესპუბლიკა ბელორუსმა, რუსეთის ფედერაციამ და უკრაინამ, როგორც სსრ კავშირის დამფუძნებელმა სახელმწიფოებმა, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულებას, შემდგომში როგორც მაღალი ხელშემკვრელ მხარეებად წოდებული, ვადგენთ, რომ სსრკ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა წყვეტს არსებობას" [2]. შეთანხმებას ხელი მოაწერეს რესპუბლიკების უმაღლესი თანამდებობების პირებმა და მთავრობის ხელმძღვანელებმა: ბორის ელცინმა და გენადი ბურბულისმა რუსეთის ფედერაციიდან, სტანისლავ შუშკევიჩმა და ვიაჩესლავ კებიჩმა ბელორუსის რესპუბლიკიდან, ლეონიდ კრავჩუკმა და ვიტოლდ ფოკინმა უკრაინიდან.

1991 წლის 26 დეკემბერს კი უკვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია სსრკ-ს არსებობის შეწყვეტის თაობაზე, რის შედეგადაც, თხუთმეტმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ მოიპოვა სახელმწიფო დამოუკიდებლობა, თუმცა იქამდე, 21 დეკემბერს ყაზახეთში, ქ. ალმა-ათაში, თერთმეტმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ, ესტონეთის, ლატვიის, ლიეტუვისა და საქართველოს გარდა, ხელი მოაწერეს „ალმა-ათის დეკლარაცია"-ს, რომლითაც დაა-

დასტურეს თანხმობა „დსთ“-ში გაწევრიანების შესახებ. დაიწყო რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობის ახალი ეტაპი.

რუსეთის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა განსაზღვრულია „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციით“, რომელიც დამტკიცებულია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს. კონცეფციაში ცალკე თავი აქვს დათმობილი რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის რეგიონულ პრიორიტეტებს, სადაც აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებებია ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებთან (დსთ) და „დსთ“-ში მოქმედი სტრუქტურების შემდგომი გაძლიერება რუსეთის მონაწილეობით“ [3].

საბჭოთა და რუსი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ევგენი პრიმაკოვი თავის წიგნში „ფიქრები ხმამაღლა“ „დსთ“-ს შესახებ წერს: „ერთი მხრივ, ვითომ განქორწინების ცივილიზებული ფორმის შემუშავებით, ხოლო მეორე მხრივ – ვითომ მათი წინააღმდეგობის ჩახშობით, ვისაც არ სურდა შეეწყვიტა 1922 წლის ხელშეკრულება სსრკ-ს დაარსების შესახებ, – უბრალოდ კი არ მოახდინეს საბჭოთა კავშირის ლიკვიდაცია, არამედ მოძებნეს მისი ჩანაცვლება „დსთ“-ს სახით. ის ფაქტი, რომ „დსთ“ იყო საფარი, რომლის უკანაც საბჭოთა კავშირი დაყვეს ნაწილებად, გაირკვა ორგანიზაციის წესდებიდან, რომლის თანახმადაც „დსთ“ არ ფლობდა ზენაციონალურ უფლებამოსილებას.“ [4, 75]. ძნელია არ დაეთანხმო ასეთ შეფასებას. იმ პერიოდისათვის სახელმწიფოთა მეთაურები, რომლებმაც ალმა-ათის დეკლარაციას მოაწერეს ხელი, ხომ ძირითადად კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები იყვნენ. გარდა ამისა, არ მგონია რუსეთს ოდესმე შეეწყვიტა ფიქრი, გავლენის სფეროების შემცირებაზე, თუ რუსეთის იმპერიის არა, საბჭოთა კავშირის ყოფილ ტერიტორიაზე მაინც;

განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც ბალტიის ქვეყნები და საქართველო, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა სამხრეთ კავკასიის დაუფლების კარად, არ აპირებდნენ თანამეგობრობაში გაწევრიანებას. ბალტიის ქვეყნებს გამოუჩნდა მფარველი, ევროკავშირის სახით, ხოლო საქართველო დარჩენილი ჩრდილოელ მეზობელთან ერთიერთზე, 90-იანების დასაწყისში სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, იძულებული გახდა 1993 წელს გაწევრიანებულიყო თანამეგობრობაში.

არსებობს მოსაზრებები, რომ „დსთ" ევროკავშირის ანალოგიაა აღმოსავლეთში, მაგრამ თუ ევროკავშირის შექმნისას ან მისი გაფართოებისას სახელმწიფოები აერთიანებდნენ საკუთარ ეკონომიკას და პოლიტიკას, „დსთ", როგორც ზემოთ აღინიშნა, ფაქტობრივად, ახალ პირობებში, საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას უდრიდა, რომლის წევრი სახელმწიფოები პოლიტიკურად და ეკონომიკურად უკვე საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი; ამასთან პოლიტიკური ცენტრი ისევ მოსკოვში დარჩა. „არ არსებობდა ყველასთვის სავალდებულო კანონები, გადაწყვეტილებები ხშირად არ სრულდებოდა და ისინი რჩებოდა ქაღალდზე. მაგალითისათვის, არ შესრულებულა შვიდი ქვეყნის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება რუბლის, როგორც ერთიანი ვალუტის შენარჩუნებისა და საერთო მონეტარული პოლიტიკის გატარების შესახებ. გაუქმდა თანამეგობრობის შეიარაღებული ძალების მეთაურის თანამდებობა. არ განხორციელებულა რუსეთსა და სხვა ქვეყნების წინადადებები საგარეო პოლიტიკის სფეროში კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ."[5]. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ხელმოწერით ადასტურებდნენ ახალ ერთობას, მათ შორის არსებობდა პოლიტიკური, თუ ეკონომიკური ხედვის განსხვავებული ორიენტირები; შედეგად, 90-იანების ბოლოსაკენ „დსთ"-ს სივრცეში იწყება სხვადასხვა ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ზოგიერთ მათგანში

გაწევრიანდნენ სახელმწიფოები, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ყველა იმ მიმართულებასა თუ ინტერესს, რაც გაცხადებული იყო თანამეგობრობის ფარგლებში და რუსეთის მხრიდან სამხედრო-პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებში განიცდიდნენ გარკვეული სახის ზეწოლას. **ასეთია, საერთაშორისო ორგანიზაცია „სუამ"-ი, რომელიც შეიქმნა 1997 წელს და რომელშიც გაერთიანდნენ საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა (1999 წლიდან 2005 წლის ჩათვლით მასში, აგრეთვე, შედიოდა უზბეკეთი).**

2005 წელს, თურქმენეთი გავიდა „დსთ"-ს მუდმივი წევრობიდან და გახდა ასოცირებული წევრი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის და რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებისა და შემდგომ რუსეთის მხრიდან მათი დამოუკიდებლობის ცნობის წლისთავზე, 2009 წლის 18 აგვისტოს „დსთ" დატოვა საქართველომ. 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში დაწყებული საბრძოლო მოქმედებების შემდგომ, გაძლიერდა უკრაინის სურვილი ემოძრავა დასავლეთის მიმართულებით. იგივე საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო მოლდოვამაც. მიუხედავად ამ ვითარებისა, 2016 წელს ყირგიზეთში თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე, „დსთ"-ში შემავალმა ყველა ქვეყნის ლიდერმა, ორგანიზაციის გაერთიანების შენარჩუნებას დაუჭირა მხარი, თუმცა აღნიშნული სამიტიდან ორი წლის შემდეგ, 2018 წელს უკრაინამ დატოვა „დსთ". აქვე საინტერესოა, ზბიგნევ ბჟეზინსკის მოსაზრება, რომელიც წიგნში, „The Grand Chessboard", წერს: „უკრაინა, არის ახალი და მნიშვნელოვანი სივრცე ევრაზიის საჭადრაკო დაფაზე, გეოპოლიტიკური ღერძი, რადგან მისი არსებობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, ხელს უწყობს რუსეთის გარდაქმნას. უკრაინის გარეშე, რუსეთი ვერ იქნება ევრაზიული იმპერია. უკრაინის გარეშე რუსეთს შეუძლია იბრძოლოს იმპერიის სტატუსისთვის, მაგრამ ის გახდება, ძირითადად, აზიური იმპერიული სახელმწიფო."[6]. და მართლაც, ამჟამად „დსთ"-ში

აზიური სახელმწიფოები ჭარბობენ. რუსეთის ხელმძღვანელობისათვის „სუამ“-ი იქცა ერთ-ერთ სიგნალად იმისა, რომ თუ რაიმეს არ მოიმოქმედებდა, შესაძლებელი იქნებოდა იგივე ბედი გაეზიარებინა შუა აზიის მიმართულებით და ამ სახელმწიფოებს ჩამოეყალიბებინათ ცალკე ორგანიზაცია, გამომდინარე იქიდან, რომ აქ იზრდებოდა თურქეთის როლი და გავლენა, ასევე, აღნიშნული მიმართულებით ეკონომიკური ინტერესები გაუჩნდა ჩინეთს. აქედან გამომდინარე, რუსეთი იძულებულია რა საგარეო პოლიტიკის წარმოებისას გაითვალისწინოს პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები და მეზობელი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია, იწყებს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური მიმართულებით სხვადასხვა გაერთიანებების შექმნას, ესენია: „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“, „რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფო“ და „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ და სხვა.

1999 წელს შეიქმნა „რუსეთ-ბელორუსის სამოკავშირეო სახელმწიფო“. 2000 წელს ჩამოყალიბდა „ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება“, რომელშიც გაწევრიანდნენ რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი. 2003 წელს ძალაში შევიდა „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია“ („კუხო“), რომელიც შეიქმნა 1992 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების საფუძველზე. 2010 წელს რუსეთმა, ბელარუსმა და ყაზახეთმა ჩამოყალიბეს საბაჟო კავშირი.

2015 წლიდან ევრაზიული ეკონომიკური საზოგადოება ჩაანაცვლა „ევრაზიულმა ეკონომიკურმა კავშირმა (ეეკ)“ და ახალ გაერთიანებაში შევიდნენ: რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, სომხეთი და ყირგიზეთი. „ეეკ“-ის ძირითად მიზნებად განისაზღვრა: შეიქმნას პირობები წევრი ქვეყნების ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების დონე; ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, თანამ-

შრომლობა და კონკურენტუნარიანობა; საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და შრომითი რესურსების საერთო ბაზრის ჩამოყალიბება“ [7]. ამ უკანასკნელს არაოფიციალურად „ოთხი თავისუფლება“ ეწოდა. 2015 წელს, „ეკკ“-ს ინტეგრაციისა და მაკროეკონომიკის ძირითადი მიმართულებების იმჟამინდელმა მინისტრმა ტატიანა ვალოვაიამ ერთ-ერთ ფორუმზე გამოსვლისას აღნიშნა: „ჩვენ მივედით იმ გაგებამდე, რომ „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ არის სრულფასოვანი, ერთიანი ეკონომიკური სივრცე და იმისათვის რომ მასში რაღაცას მივაღწიოთ, ჩვენ უნდა გავატაროთ კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული პოლიტიკა ეკონომიკის ძირითად დარგებში. ერთიანი ეკონომიკური სივრცე – ეს ოთხი თავისუფლებაა, ახლა ჩვენ ნათლად გვესმის, თუ რაში მდგომარეობს ეს თავისუფლება. ეს უბრალოდ საბაჟო ფორმალობების მოხსნა კი არა, ეს – საერთო ბაზრების შექმნის აუცილებლობაა“.

2019 წლისთვის ევრაზიის ეკონომიკური კავშირის მოსახლეობა შეადგენდა 184 მლნ-ზე მეტს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი 1 965 მლრდ. დოლარზე მეტს [8, 13-14]. ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე ოპონენტებიც. ზოგიერთი ოპონენტის მტკიცებით, მოსკოვი ცდილობს, რაღაც ფორმით აღადგინოს საბჭოთა კავშირი. ამ მოსაზრებას ამყარებს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა 2005 წლის 25 აპრილს, რუსეთის ფედერაციის ფედერალურ კრებაზე გამოსვლისას და საბჭოთა კავშირის დაშლას „საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა“ უწოდა: „პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო. ხოლო რუსი ხალხისთვის ის გახდა ნამდვილი დრამა. ათობით მილიონი ჩვენი თანამოქალაქე და თანამემამულე აღმოჩნდნენ რუსეთის ტერიტორიის გარეთ. დაშლის ეპიდემია გავრცელდა თვით რუსეთზეც“ [9].

2012 წლის 6 დეკემბერს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი

კლინტონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინ აღუდგებოდა ინტეგრაციის პროცესს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მან განაცხადა: „ჩვენ ვხედავთ გარკვეულ ძვრებს რეგიონის განმეორებით გასაბჭოებისაკენ, რა თქმა უნდა, ამას ასე არ ერქმევა. ეს იქნება საბაჟო კავშირი, ევრაზიული კავშირი ან მსგავსი რამ. ჩვენ ვიცით, რა არის მიზანი და ვეცდებით, შევიმუშაოთ ეფექტური ხერხები, რათა შევანელოთ ეს პროცესი ან თავიდან ავიცილოთ ის“ [10].

რამდენად არიან „ეკკ“-ს წევრი ქვეყნები დამოუკიდებლები კითხვის ნიშნის ქვეშაა, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი აშკარად დამოკიდებულნი არიან რუსეთის ეკონომიკაზე, რომლის წილი კავშირის მთლიანი ეკონომიკის 80 %-ზე მეტია. რუსეთ-ბელორუსის საკავშირო სახელმწიფოს შექმნის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა მოსკოვში, 1999 წლის 8 დეკემბერს. ხელშეკრულების პირველ მუხლში ვკითხულობთ: „რუსეთის ფედერაცია და ბელორუსის რესპუბლიკა (შემდგომში – მონაწილე სახელმწიფოები) ქმნიან საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც წარმოადგენს ორი ქვეყნის ხალხების გაერთიანების ახალ ეტაპს დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში“ [11]. თუმცა ამ დოკუმენტამდე დადებული იყო ორი ხელშეკრულება: „ხელშეკრულება ბელორუსის და რუსეთის საზოგადოების შექმნის შესახებ“ და „ხელშეკრულება ბელორუსის და რუსეთის კავშირის შესახებ“. „ორი ქვეყნის ეკონომიკა ურთიერთდაკავშირებულია და ავსებს ერთმანეთს. ამავდროულად რუსეთს ბელორუსის სახით ჰყავს არა ღარიბი მოკავშირე, არამედ მაღალგანვითარებული ინდუსტრიისა და კარგად ჩამოყალიბებული სოფლის მეურნეობის მქონე პარტნიორი. საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკა, რომელსაც სსრკ-ს ტერიტორიის 1%-ზე ნაკლები ჰქონდა, აწარმოებდა ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 4%-ზე მეტს. თუ პოსტსაბჭოთა პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან სხვადასხვა ნედლეულის ექსპორტი ჭარბობს, იმავდროულად ბელორუსის რესპუბლიკაში დომინირებს საავტომობილო, სატრაქტორო, ელექტრონული, ნავთობგადა-

მამუშავებელი, მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობა, რომლებიც, ძირითადად, საგარეო ბაზრებზეა ორიენტირებული. რუსეთისგან განსხვავებით, პოსტსაბჭოთა წლებში ბელორუსში არც ერთი მსხვილი საწარმოს ლიკვიდაცია არ მომხდარა" [5].

მიუხედავად ასეთი ურთიერთობისა, ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, პერიოდულად გამოდის რუსეთის კრიტიკით. 2018 წელს რუსეთში აიკრძალა ბელორუსული რძის პროდუქტების ექსპორტი, ეს ვითომ ეკონომიკური, რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოებისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რეალურად პოლიტიკური გახდა, რადგან იმ პერიოდისათვის ლუკაშენკო დაკავებული იყო რუსეთის კრიტიკით და საუბრობდა ევროკავშირთან ურთიერთობების ნორმალიზაციაზე, როგორც მთავრობის სხდომებზე, ასევე თავის ოფიციალურ გამოსვლებში. „როსსელხოზნადზორმა" (Россельхознадзор) დააწესა აკრძალვა ბელორუსიიდან რძითა და რძის პროდუქტებით მომარაგებაზე, იმის მოტივით, რომ რუსეთში იმპორტირებული საქონელი არ აკმაყოფილებს უსაფრთხოების მოთხოვნებს". [12] „ასეთი რამ უპასუხოდ არ დარჩება, ჩვენ უბრალოდ არ შევეგუებით ამას" – დაიმუქრა ალექსანდრე ლუკაშენკო. „მინსკი რძის პროდუქტების ექსპორტს ახორციელებს მსოფლიოს 45 ქვეყანაში. რუსეთი ბელორუსული რძის უდიდესი ბაზარია, ყაზახეთი მეორე ადგილზეა, უკრაინა მესამეზე. ჯერჯერობით, ამ ორ ქვეყანას არ აქვს პრეტენზია ბელორუსიის რძის პროდუქტების ხარისხზე". [13] – განაცხადეს მინსკში.

პერიოდული გართულებების მიუხედავად, რუსეთი და ბელორუსი რჩებიან მჭიდრო პარტნიორებად. ისინი ატარებენ ერთობლივ სამხედრო სწავლებებს, როგორც საშტაბო-სამეთაურო, აგრეთვე ჯარების მიზიდვით. ერთ-ერთი ასეთი სწავლება სახელწოდებით „სლავური ძმობა" 2020 წლის სექტემბერში ჩატარდა ბელორუსში. სწავლებაში მონაწილეობდა 70 ერთეული საბრძოლო ტექნიკა და 1500-მდე სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 300 რუსი მედესანტე. და ეს იმ ფონზე, როდესაც ბელო-

რუსის დიდ ქალაქებში 2020 წლის 9 აგვისტოდან მიმდინარეობდა ოპოზიციის საპროტესტო აქციები, საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. ლუკაშენკო ამ აქციების ორგანიზებაში დასავლეთის ხელს ხედავდა და იქამდეც კი მივიდა, რომ „ნატო“ დაადანაშაულა ბელორუსის საზღვრებთან ძალების მობილიზებაში.

ბელორუსის თავდაცვის სამინისტროს საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსმა – თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის საკითხებში, გენერალ-მაიორმა ოლეგ ვოინოვმა თავდაცვის სამინისტროს საიტზე გამოაქვეყნა სტატია, სადაც წერია, რომ „ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ბელორუსის რესპუბლიკის გარშემო სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გამწვავდა და ხასიათდება როგორც შიდა, ისე საგარეო ძალების ინტენსიური მცდელობებით, რომ მოახდინონ სიტუაციის დესტაბილიზაცია ჩვენს სახელმწიფოში. მთავარი მიზანი არის ბელორუსის რესპუბლიკაში მოქმედი მთავრობის შეცვლა, რომელიც არჩეულია ბელორუსი ხალხის მიერ კონსტიტუციური ნებით. განხორციელებულმა ღონისძიებებმა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაციას, ინფორმაციული ვითარების გამწვავებას, არეულობების პროვოცირებას, გამოიწვია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში დაძაბულობის მნიშვნელოვანი ზრდა. მთლიანობაში ევროკავშირმა და ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა, ცალკეულმა სახელმწიფოებმა - პოლონეთმა და ლიტვამ – საკუთარი წვლილი შეიტანეს ამ დესტრუქციულ პროცესში.“[14]. არ დააყოვნა კრემლის პასუხმაც და რუსეთმა მხარდაჭერა გამოუცხადა ლუკაშენკოს. ვლადიმერ პუტინი ლუკაშენკოს საჭიროების შემთხვევაში ძალით დახმარებას დაპირდა. „ალექსანდრე გრიგორიევიჩმა მთხოვა, რომ სამართალდამცავების გარკვეული რეზერვი ჩამომეყალიბებინა. მე ეს გავაკეთე. ჩვენ ასევე შევთანხმდით, რომ ის არ იქნება გამოყენებული იქამდე, სანამ სიტუაცია არ გამოვა კონტროლიდან“ [15] – გა-

ნაცხადა პუტინმა 2020 წლის 27 აგვისტოს სატელევიზიო არხის „Россия 1“-ის ჟურნალისტ სერგეი ბრელევთან ინტერვიუს დროს.

მოკავშირე სახელმწიფოში პრობლემებიც ბევრია, მაგალითად, მათ არ გააჩნიათ ერთიანი ვალუტა, ხშირად არის უთანხმოებები პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტებში. ასევე, ბელორუსს, მიუხედავად რუსეთის არაერთგზის თხოვნისა, არ უღიარებია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვკითხულობთ: „...რუსეთი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას (კუხო) განიხილავს, როგორც თანამედროვე უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს პოსტსაბჭოთა სივრცეში...“ [3].

როგორც ზემოთ აღვნიშნე, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა 1992 წელს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების დადებით, რომელსაც უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში იმავე წლის 25 მაისს ხელი მოაწერეს „დსთ“-ში შემავალმა სახელმწიფოებმა: სომხეთმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, რუსეთმა, ტაჯიკეთმა და უზბეკეთმა. 1993 წლის ხელშეკრულებას ასევე ხელი მოაწერეს: 9 სექტემბერს – საქართველომ, 24 სექტემბერს —აზერბაიჯანმა და 31 დეკემბერს – ბელორუსმა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1994 წელს და გათვლილი იყო ხუთ წელიწადზე, გაგრძელების პერსპექტივით. 1999 წელს სომხეთმა, ბელორუსმა, ყაზახეთმა, ყირგიზეთმა, რუსეთმა და ტაჯიკეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულების გაგრძელებას კიდევ ხუთი წლით, ხოლო აზერბაიჯანმა, საქართველომ და უზბეკეთმა უარი განაცხადეს ხელშეკრულების გაგრძელებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი უკვე ორგანიზაცია „სუამ“-ის წევრი სახელმწიფოები იყვნენ.

2002 წელს კიშინიოვში ხელი მოეწერა „კუხო“-ს წესდებას, რომელიც 2003 წელს რატიფიცირებულ იქნა წევრი სახელმწიფოების მიერ, ხოლო 2004 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „კუხო“-სათვის გაეროს გენერალურ ასამ-

ბლეაში დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების შესახებ. ზბიგნევ ბჟეზინსკი წიგნში, „The Grand Chessboard“, წერდა, რომ „... თუ რუსეთი ოდესმე შეეცდება საკუთარი თავდაცვის პაქტის დადებას, მასში შევლენ „მაქსიმუმ“ ბელორუსი და ტაჯიკეთი...“ [6], თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ წევრი უფრო მეტია, რაც განპირობებულია არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სიტუაციით, არამედ იმითაც, რომ რიგი სახელმწიფოები „კუხო“-ში ხედავენ საკუთარი უსაფრთხოების გარანტიებს. მაგალითად: სომხეთი თურქეთის მხრიდან, ხოლო ტაჯიკეთი ავღანეთიდან მომდინარე სავარაუდო საფრთხეებს ითვალისწინებენ.

თუ „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროკავშირის ალტერნატივა პოსტსაბჭოთა სივრცეში, მაშინ შესაძლებელია ითქვას, რომ „კუხო“ არის „ნატო“-ს ალტერნატივა და მოკრძალებული „ვარშავის პაქტი“. „კუხო“-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების მე-4 მუხლში ვკითხულობთ: „თუ რომელიმე მონაწილე სახელმწიფო განიცდის აგრესიას (შეიარაღებული თავდასხმა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს), მაშინ მონაწილეები ამას განიხილავენ, როგორც აგრესიას (შეიარაღებულ თავდასხმას, რომელიც ემუქრება უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს) ყველა ამ შეთანხმების მხარე სახელმწიფოს წინააღმდეგ. რომელიმე მონაწილე სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიის (შეიარაღებული თავდასხმა, რომელიც საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს) შემთხვევაში, ყველა დანარჩენი მონაწილე სახელმწიფო, ამ მონაწილე სახელმწიფოს თხოვნით, დაუყოვნებლივ გაუწევს მას საჭირო დახმარებას, მათ შორის სამხედრო და ასევე დაეხმარებიან მათ განკარგულებაში არსებული სახსრებით კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენების მიზნით, გაეროს წესდების 51-ე მუხლის შესაბამისად...“ [16], რით განსხვავდება ეს მუხლი „ნატო“-ს მე-5 მუხლისაგან

(„...შეიარაღებული თავდასხმა ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში ერთის ან მეტი მათგანის წინააღმდეგ განიხილება, როგორც თავდასხმა მთლიანად მათ წინააღმდეგ და, შესაბამისად, თანხმდებიან, რომ ასეთი შეიარაღებული თავდასხმისას, თითოეული მათგანი გამოიყენებს უფლებებს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის შესახებ, რომელიც აღიარებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით...")?! ამ დრომდე „კუხო"-ს მე-4 მუხლი გამოყენებული არ ყოფილა.

სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, იმპერიების დაშლა იწვევდა ომებს მათ პერიფერიებზე. ეს ფაქტორები შეიძლება ყოფილიყო: სხვა გაძლიერებული სახელმწიფოების მიერ, დაშლის შედეგად გაჩენილი სივრცეების ათვისების სურვილი, დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების პოლიტიკური მოუმწიფებლობა და შედეგად შიდა ომები, ან იმპერიის ამბიცია აღედგინა თავისი გავლენა ყოფილ ტერიტორიაზე. „რუსეთის ხედვამ საკუთარი სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და ამბიციამ, შეენარჩუნებინა გავლენები პოსტსაბჭოთა სივრცეზე ცენტრის სტატუსით, გამოვლინდა მისი მონაწილეობით რიგ სამხედრო კონფლიქტებში, ისეთებში როგორიცაა ტაჯიკეთის სამოქალაქო ომი (1992-1997); ოსეთ-ინგუშეთის კონფლიქტი (1992); კონფლიქტი ჩეჩნეთში (1994-2009)" [17]. რუსეთი მონაწილეობდა, აგრეთვე, 1991-93 წწ. და 2008 წლის საქართველოში და 2014 წლიდან უკრაინაში წარმოებულ საომარ მოქმედებებში, თუმცა მან ოფიციალურად აღიარა მხოლოდ საქართველოში (2008 წ.) და უკრაინაში (2014 წ.) წარმოებულ საომარ მოქმედებებში (ყირიმის ნახევარკუნძული) მონაწილეობა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ურთიერთობებისა, დღეს რუსეთის დამოკიდებულება პოსტსაბჭოთა, დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ არაერთგვაროვანია. მას 2008 წლიდან ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიები და არ გააჩნია დიპლომატიური ურთიერთობა. 2018 წელს უკრაინამ შეაჩერა 1997 წელს ხელმოწერილი „შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას

შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ". მოლდოვასთან ურთიერთობა ერთი შეხედვით ნეიტრალურია, თუმცა ამ პოზიციას დნესტრისპირეთში განთავსებული რუსული კონტინგენტი უმაგრებს ზურგს. რუსეთი, აგრეთვე, ახლად არჩეული პრეზიდენტის, მაია სანდუს ნაბიჯებს ელოდება, რომელმაც ინაუგურაციის ცერემონიალის დასრულების შემდგომ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა: „მე ვიქნები პრეზიდენტი ევროინტეგრაციის საკითხებში, რომელიც ქვეყანას სახით მიაბრუნებს მისი უცხოელი პარტნიორებისაკენ, მე ვიზრუნებ, რომ მოლდოვას ჰქონდეს მკაფიო და მყარი პოზიცია ყველა ჩვენი პარტნიორის მიმართ, და ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ ჩვენი ინტერესები იქნას გაგებული და პატივცემული". [18] 2020 წლის 29 დეკემბერს „დოიჩე ველესათვის" მიცემულ ინტერვიუში ის საუბრობს, რომ „მოლდოვის რესპუბლიკას აქვს საკმაოდ სერიოზული დღის წესრიგი რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით, ანუ ჩვენ გვაქვს მრავალი საკითხი, რომელზეც უნდა ვიმუშაოთ. მაგალითად ვაჭრობა. ჩვენ გვსურს მთლიანად აღვადგინოთ ექსპორტი რუსეთში. ეს არის, აგრეთვე, იმ ადამიანების პრობლემები, რომლებიც რუსეთში მუშაობენ. მათ უნდა შევუქმნათ კარგი პირობები, მოვაგვაროთ სოციალური დაცვის საკითხები. და, რა თქმა უნდა, არსებობს დნესტრისპირეთის კონფლიქტის პრობლემა. ვიმუშავებ ამ საკითხების მოგვარებაზე" [19].

საკმაოდ მეგობრული ურთიერთობები აქვთ ჩამოყალიბებული რუსეთსა და აზერბაიჯანს. აზერბაიჯანი ლიდერობს სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის სახელმწიფოებს შორის რუსულენოვანი მედიის რაოდენობით. დაახლოვებულია, აგრეთვე, რუსეთისა და აზერბაიჯანის პოზიციები კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსის საკითხთან დაკავშირებით. ამასთანავე, აზერბაიჯანი რუსული შეიარაღების ერთ-ერთი მსხვილი იმპორტიორია.

ბალტიის ქვეყნები „ნატო"-სა და ევროკავშირის წევრები არიან, ამიტომ მათთან დამოკიდებულებაში რუსეთი იგივე პოზიციაზეა, რა პოლიტიკასაც აწარმოებს იგი აღნიშნული გაერთიანე-

ბების წევრ სხვა სახელმწიფოებთან. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებია მეორე მსოფლიო ომის შეფასებებსა და ომისშემდგომ მოწყობაზე. ბალტიის ქვეყნებში გათანაბრებულია ფაშისტური და საბჭოური რეჟიმები და საბჭოთა კავშირი იქ წარმოდგენილია, როგორც ოკუპანტი. რუსეთსა და ლატვია, ესტონეთს შორის ურთიერთობების ცალკე პრობლემაა – ბალტიის ამ ორ ქვეყანაში რუსი ეროვნების მოსახლეობის დისკრიმინაციის საკითხი, რომელსაც რუსეთი პერიოდულად უბრუნდება. „ეს მოქალაქეები იყოფიან ოთხ მთავარ კატეგორიად: პირები, რომლებიც ბალტიის ქვეყნებში გადავიდნენ ლატვიასა და ესტონეთში სამრეწველო ობიექტების მშენებლობის პროექტების განხორციელებისას რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიდან; სსრკ დროს ბალტიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სსრკ შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე, სხვა ძალოვანი სტრუქტურებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომლებიც ბალტიის ქვეყნებში მუშაობდნენ სსრკ დაშლის მომენტში ან დასახლდნენ პენსიაზე გასვლის შემდეგ; პირები, რომლებიც გადასახლდნენ ბალტიის რესპუბლიკებში ბუნებრივი მიგრაციისა და მკვიდრ მოსახლეობასთან ქორწინების შედეგად; ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ ბალტიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე მოსახლეობის სამივე ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიისაგან.“ [5]. ამ ეტაპზე გარკვეული საერთაშორისო სტრუქტურების ძალისხმევის შედეგად პრობლემის სიმძიმე შემცირდა, თუმცა ის დარჩა.

შუა აზიის ქვეყნებთან დამოკიდებულებაში რუსეთი ითვალისწინებს მათ ენერგეტიკულ პოტერნციალს. ცნობილია, რომ აქ საკმაოდ დიდი რაოდენობის ბუნებრივი აირის მარაგია, განსაკუთრებით თურქმენეთში, ყაზახეთში და უზბეკეთში. გარდა „დსთ“-ს ევრაზიულ ეკონომიკური კავშირისა, რუსეთი და შუა აზიის სახელმწიფოები თანამშრომლობენ „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ ფარგლებში, რომელიც დაარსდა 2001

წლის 15 ივნისს ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ქვეყნების ლიდერების მიერ, გარდა დამფუძნებელი სახელმწიფოებისა, დღეს ორგანიზაციაში გაწევრიანებულია ინდოეთი და პაკისტანი. ხაზგასასმელია ის, რომ გარდა ეკონომიკური ურთიერთობისა რუსეთს გააჩნია სამხედრო ინფრასტრუქტურა ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში. ყირგიზეთში განლაგებულია: რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის შორეული საკომუნიკაციო ცენტრი, წყალქვეშა იარაღის საცდელი ბაზა ისიკ-კულის ტბაზე, კანტის საჰაერო ბაზა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე 2017 წლიდან განლაგებულია რუსული სამხედრო ბაზა, რომლის ფუნქციონირება განსაზღვრულია 15 წლით. ტაჯიკეთში კი 2004 წლიდან ფუნქციონირებს 201-ე რუსული ბაზა, რომელიც ჩამოყალიბდა 201-ე მოტომსროლელი დივიზიის ბაზაზე. მის მიზანს წარმოადგენს ტაჯიკეთის რესპუბლიკაში კონსტიტუციური სისტემის მხარდაჭერა, რუსეთის ფედერაციის სამხედრო-პოლიტიკური ვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ნაციონალური ინტერესების განმტკიცება შუა აზიის რეგიონში.

ნებისმიერ კავშირსა ან/და ორგანიზაციას „დსთ"-ს სივრცეში, რაც არ უნდა „ეკონომიკური" ერქვას, რუსეთისათვის უფრო მეტად გეოპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეკონომიკური. მოსკოვი ცდილობს ნაწილობრივ მაინც აღადგინოს კონტროლი საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებზე, თუმცა დღეს შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ არ გაამართლდა არც ცუდი და არც ყველაზე ოპტიმისტური მოლოდინები, იგი არსებობს, მაგრამ ის არ გამხდარა სრულფასოვანი მექანიზმი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რეინტეგრაციისთვის. რუსეთის არაერთგვარი პოლიტიკისა და დამოკიდებულების გამოძახილია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან თვით რუსეთისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა. „რუსეთი „დსთ"-ს სახელმწიფოებისაგან, დასავლეთის სახელმწიფოებისაგან, აგრეთვე, ჩინეთისაგან აღიქმება, როგორც იმპერიული ამბიციების მქონე ქვეყანა. ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო

(ბალტიის ქვეყნები, საქართველო და ახლა უკვე უკრაინა) ცდილობს დაიცვას საკუთარი თავი მისგან, სხვებს (ბელორუსია, შუა აზიის ქვეყნები), თამაშში აყოლით, სურთ მიიღონ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის გარკვეული ბონუსები" [17].

დღევანდელი დამოუკიდებელი რუსეთის ფედერაცია არის რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა რუსეთის სამართალმემკვიდრე, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. საუკუნეების მანძილზე დამტკიცდა, რომ მას არ შეუძლია ჰქონდეს ნორმალური, ურთიერთპატივისცემაზე და თანასწორუფლებიანობაზე დამყარებული ურთიერთობა უშუალო მეზობელ ქვეყნებთან. დღესაც, მას სურს ეს სახელმწიფოები თავისი გავლენის სფეროში ყავდეს მოქცეული და მუდმივად დომინირებდეს მათთან მიმართებაში. კარგად გამოცდილი „მათრახი და თაფლკვერი"-ს მეთოდით მიდგომა პარტნიორებისადმი დღესაც აქტუალურია რუსეთის მხრიდან. მაგალითისათვის გამოდგება სომხეთ-აზერბაიჯანის საომარი დაპირისპირება 2020 წლის შემოდგომაზე, როდესაც თავისი სტრატეგიული პარტნიორი სომხეთის არაერთი თხოვნის მიუხედავად, არ ჩაერია ომის მსვლელობაში, თუნდაც პოლიტიკური მხარდაჭერით, რითაც დასაჯა სომხეთი, მისი ბოლოდროინდელი მეტად ევროპული კურსის გატარებისა და საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნების გამო. ამგვარი პოლიტიკის წარმოებით რუსეთმა შეიძლება დაკარგოს ნდობა „დსთ"-ს წევრ ქვეყნებს შორის (რომელიც ჯერ კიდევ არსებობს) და უბიძგოს მათ ეკონომიკურად, თუ პოლიტიკურად უფრო მომგებიანი მიმართულებები აირჩიონ, იქნება ეს ევროპული თუ აზიური ინტეგრაციის კურსი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Договор об образовании Союза Советских Социалистических Республик. https://ru.wikisource.org/wiki/Договор_об_образовании_Союза_Советских_Социалистических_ Республик, (გადამოწმებულია 06. 01. 2021).

2. Соглашение о создании Содружества Независимых Государств. https://cis.minsk.by/page/show?id=176, (გადამოწმებულია 06. 01. 2021)

3. Указ Президента Российской Федерации от 30. 11. 2016 г. № 640, Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации. http://www.kremlin.ru/acts/bank/41451/page/1, (გადამოწმებულია 06. 01. 2021).

4. Примаков Е., Мысли вслух, Москва, 2011.

5. Баранов Н., Внешнеполитическая деятельность России на постсоветском пространстве, 22. 02. 2018. https://nicbar.ru/politology/study/55-kurs-sovremennaya-vneshnepoliticheskaya-strategiya-rossii-i-mezhdunarodnye-konflikty/571-lektsiya-2-vneshnepoliticheskaya-deyatelnost-rossii-na-postsovetskom-prostranstve#_ftn1, (გადამოწმებულია 06. 01. 2021).

6. Zbignew B., The Grand Chessboard. American Primacy and Its - Geostrategic Imperatives, 1997.

7. ДОГОВОР О ЕВРАЗИЙСКОМ ЭКОНОМИЧЕСКОМ СОЮЗЕ. https://www.nbrb.by/today/internationalcooperation/eeu/agreements/eeuagreement.pdf, (გადამოწმებულია 08. 01. 2021).

8. ЕВРАЗИЙСКИЙ ЭКОНОМИЧЕСКИЙ СОЮЗ В ЦИФРАХ, КРАТКИЙ СТАТИСТИЧЕСКИЙ СБОРНИК, Москва, 2020.

9. Послание Федеральному Собранию Российской Федерации 25 апреля 2005 года. http://kremlin.ru/events/president/transcripts/22931, (გადამოწმებულია 08. 01. 2021).

10. RT На Русском, „Клинтон: США не допустят возрождения СССР“, 7. 12. 2012. https://russian.rt.com/article/1787, (გადამოწმებულია 09. 01. 2021).

11. Договор о создании Союзного государства. https://soyuz.by/dogovor-o-sozdanii-soyuznogo-gosudarstva, (გადამოწმებულია 09. 01. 2021).

12. Россия запретила поставки белорусского молока и молочных продуктов, 22 февраля 2018. https://meduza.io/news/2018/02/22/rossiya-zapretila-postavki-belorusskogo-moloka-i-molochnyh-produktov, (გადამოწმებულია 09. 01. 2021).

13. Смирнов А., Запрет белорусской „молочки" в России: каким может бытькомпромисс?, 14. 03. 2018. https://www.dw.com/ru//ru/запрет-белорусской-молочки-в-россии-каким-может-быть-компромисс/a-42967775, (გადამოწმებულია 10. 01. 2021).

14. Генерал-майор Воинов О., Военное сотрудничество и добрососедство: от слов к делу 15. 09. 2020. https://www.mil.by/ru/news/press_center/publications/105997/, (გადამოწმებულია 10. 01. 2021).

15. „Славянское братство": Москва прислала на учения в Беларусь 300 десантников и одного министра, 16. 09. 2020. https://www.bbc.com/russian/features-54167158, (54167158" ислала на учения в Б

16. Договор о коллективной безопасности. https://odkb-csto.org/documents/ documents/ dogovor_o_kollektivnoy_bezopasnosti/, (გადამოწმებულია 11. 01. 2021).

17. Шишков В., Политика России на постсоветском пространстве, Жур. Россия и новые государства Евразии, Институт мировой экономики и международных отношений РАН, М., № 1, 2015

18. Выступление Майи Санду после церемонии инаугурации на пост Президента Республики Молдова: „Я – одна из Вас, простой человек. Я Ваш президент, и Вы можете на меня рассчитывать", 24. 12. 2020 https://www.zdg.md/ru/?p=48532, (გადამოწმებულია 11. 01. 2021).

19. Майя Санду: „Если меня пригласят в Россию, поеду", 29.12.2020, https://www.dw.com/ru/majja-sandu-esli-menja-priglasjat-v-rossiju-poedu/a-56086408, (გადამოწმებულია 11. 01. 2021).

Levan Beria

Georgian Technical University, Doctoral student of the Faculty of Law and International Relations

Commonwealth of the Independent States and Russian Foreign Policy in the Post-Soviet Space

Summary

The Russian Federation considers the post-Soviet space as its „backyard", where neither the adjacent neighbour nor the far one has anything to do. It views this region as its sphere of influence and a buffer zone with opponents. Any action performed by neighbouring countries that is against its policy - be dominant over Post-Soviet Countries (PSC), is perceived uneasily. Russia is not only concerned about the subject, but even uses aggression and demonstration of power. The good examples of which are Georgia (2008) and Ukraine (2014) cases.

The article discusses Russia's policy towards PSCs in general, notwithstanding whether the country is a member of the Commonwealth of Independent States or not. Among those countries, some are part of the adversary block, such as NATO and EU, some are willing to be a part of it. Although, there are some countries where Russia did not need great effort to build up the influence. Its policy considers binding those countries not only politically but economically as well. This dominating policy runs without exception (attitude with the strategic partner Armenia during the war of Nov. 2020) and this type of strategy is the main reason for the current non-stable situation within the post-soviet area. Therefore, it is not excluded that some allies are dreaming of a more stable geopolitical space behind its back.